წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. შაბათი, 6 ივნისი 1915 წ. № 12

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში სოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის აღრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76,

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე,) და ღირება 5 მანეთი.

„საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ წლის დამლევამდე ღირს 5 მანეთი. შეიძლება ფასის გადახდა ამნაირად: პირველ ოქტომბრამდე 3 მანეთი და შემდეგ ორი მანეთი. ჟურნალ „კლდის“ ხელის მომწერთ, რომელთაც გადახდილი აქვთ მთელი წლისა (5 მან.) „საქართველო“ გაეგზავნებათ **მხოლოდ** პირველ მკათათვემდე. „კლდის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სამს მანეთამდის აქვს შემოტანილი, „საქართველოს“ მხოლოდ პირველი ნომერი გაეგზავნებათ.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

კვირას, 7 ივნისს, 1 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის

პავლე ალექსის ძე კალანდაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ განსვენებულის პატივისმცემელთ, ამხანაგ-მეგობრებს და ნათესავებს ღრმად დამწუხრებული მშობლები ალექსი და ივლიტე, ძმები სიმონ და არტემ, დები: ფუნდუ, ძაბუნიე, რახილ, მართა და მარიამი, დისწული ილია კობალაძე, სიძეები რაფიელ ჩიხლაძე, ნოე იოსების ძე და ნოე გლახუნის ძე რამიშვილები. იმავე დღეს, 7 ივნისს, წირვის შემდეგ დანიშნულია პანაშვიდი სოფ. ხიდისთავში (გურია).

3—2

ახალ კლუბის მამასახლისთა საგჯო

ამით აცხადებს, რომ კლუბი თვის საზაფხულო განყოფილებაში გადადის 6 ამა ივნისის თვეს.

საზაფხულო განყოფილებაში გადასვლის გამო კვირას, 7 ივნისს, ნაშუადღევის სამ საათზე გაიმართება

საზოგადო სადილი

ხელის მოწერით ფასი 1 მ. 50 კ. ულვინოდ.

სადილში მონაწილეობის მიღების მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ კლუბის შვეიცართან ბაღში გადასვლის დღეს. გაიმართება კონცერტი ახლად შემდგარ სიმფონიური ორკესტრისა.

სტუმრები იხდიან შესასვლელ ფასს: მანდილოსანნი და სტუდენტები 50 კ., ხოლო მამაკაცნი—60 კაპ. ფორმის ტანისამოსში.

დასაწყისი კონცერტისა საღამოს 9 საათზე. 2—2

სახაზინო თეატრი

შაბათს, 13 ივნისს 1915 წ.

ქართულ საკველმოქმედო საზოგადოების

თაოსნობით თვის ნივთიერ საშუალებათა გასაძლიერებლად გაიმართება საინტერესო

სამხატვრო სამუსიკო საღამო

3 განყოფილებად.

მონაწილეობენ: ქქ-ნი **ევა ბრიუნელი, კოლოტოვისა** და ბბ. **ზ. პ. ფალიაშვილი, ი. პ. სარაჯიშვილი,** ი. ტომაშევიჩი და სხვანი. დაწვრილებით ცალკე იქნება გამოცხადებული.

გამოცდილი მასწავლებელი ქალი

ღებულობს და ამზადებს პირველ და მეორე კლასისთვის ქალ-ვაჟს ყველა საშუალო სასწავლებლისას. აგრედვე ამზადებს, ხელმისაწდომ ფასებში, ვისაც განმეორებითი გამოცდა ექმნება. შეიძლება სახლში მიწვევაც. **მისამართი:** კირპიჩნის შესახვევი, სახლი 12, ოთახი 9. (10—უ—5)

ავმაღლდეთ ჩვენცა!

ჩვენი საზოგადოებრივი გამოფხიზლების ერთი ნიმუშთაგანი ის გარემოებაა, რომ ჩვენში რეალი საჭიროების შეგნება თანდათან ფეხს იკიდებს. თანდათან ნელდება ის ანგარიშ-მიუცემელი ტრფიალი გიმნაზიებისადმი, რომელიც ქართველი საზოგადოების წმინდა „ჩინოვნიკურ“ სულისკვეთებაზედ აღმოცენდა დ რომელმაც განუზომელი ზიანი მიაყენა ჩვენს ეროვნულ საქმეს. ნაცვლად, უფრო საღი, საპროფესიო განათლება, ერთად ერთი პირობა ჩვენი ერის ეკონომიური წამოღონიერებისა, დღითი-დღე მეტ პატივისცემასა და ყურადღებას იპყრობს. უცილობლად, ეს ახალი ხანის მაუწყებელია საქართველოს ცხოვრებაში. ცოცხალი მაგალითი ასეთი საღი შეგნებისა მოგვცა ქუთაისის ვაჭართა წრემ, რომლის მეცადინეობით ქალაქ ქუთაისს არსდება საშუალო ტიპის საკომერციო სასწავლებელი. საქმე გვაქვს ამ წოდების კოლექტიურ გონებრივ მომწიფებასთან. ქუთათელი ვაჭრებისათვის ეს საწოდებრიო პროფესია მაღალ ყურადღებისა და სიყვარულის საგნად გადაქცეულა. სიყვარული და ყურადღება აუცილებელი პსიხოლოგიური წინამორბედია ყოველი ნაყოფიერი მოქმედებისა; ამით იწყება ყოველი ახალი საქმე. სიყვარულიდან ისინი გონივრულ ძიებისა და პრაქტიკულ განხორციელების სფეროში გადმოსულან და იმ შეგნებამდე მიუხწევიათ, რომ თავიანთ შვილებს სწორედ საკომერციო განათლება მისცენ, პირადი შენაძენი და ნაამაგარი მემკვიდრეობით გადასცენ მცოდნე და მომზადებულ შთამომავლობას. მშვენიერი საქმეა! კომერციის განტკიცება სათანადო ცოდნის შემწეობით, კომერციის ტრადიციის გადაცემა განათლებულ შვილის ხელში, რომელიც მეტ მოვლასა და წარმატებას მისცემს მამისგან მიღებულ საქმეს, ჭეშმარიტად ნათელი შეგნების ნაყოფია. არ შეგვიძლიან ქუთათელ ვაჭრებს გულმხურვალედ არ მიულოცოთ ასეთი სიფხიზლე.

დიდი ეროვნული მნიშვნელობა თან ჰყვება ამ წმიდა საწოდებრიო საპროფესიო ინტერესს. საკომერციო სწავლა-განათლება მიღებული ახალგაზდა, სამშობლო ქვეყნის ნივთიერ საჭიროებავითარებაში ჩახედული, აღსავსე სიცოცხლით და მოქმედების ენერგიით პყრობილი, სამშობლო ქვეყნის ფარგლებში იტრიალებს და ქართულ ვაჭრობა-მრეწველობის აყვავების აგენტი დადგება. ასეთი ახალგაზდა პირადი ინტერესით და სწავლა-განათლებით თავის ქვეყანაზე მიკრულია დ მის მკერდიდან მას ვერავითარი ძალა ვერ მოსწყვეტს. ცოცხალ საქმეში ჩამდგარი, იგი ეროვნული კეთილდღეობის მჭედელი გახდება. საღი კომერსანტი, საღი მეურნისა და მრეწველის გვერდით აი ის სამი ქვა-ავური, რომლებზედაც უნდა აშენდეს მომავალი საქართველოს ეკონომიური დოვლათი და კულტურული სიმტკიცე. ვიმეორებთ, ქუთათელი ვაჭრების ამ წმიდა საპროფესიო ნაბიჯს, განუყრელად თან სდევს დიდი ეროვნული ღირებულება. ეგ ღირებულება ლოღიკურად გამომდინარეობს გადადგმულ ნაბიჯისგან, და არ შეადგენს შეგნების ცალკე აკტს. წმიდა საპროფესიო საწოდებრიო ამ შემთხვევაში თავისთავად ღებულობს ფართე ეროვნულ ღირებულებას.

მაგრამ... „რალაა იგი სინათლე რასაცა ახლავს ბნელია!“

რამდენად ძლიერი გამოდგა საკუთარი პროფესიისადმი სიყვარული, რამდენად გონივრულია ამ სიყვარულით წარმოშობილი ღონისძიება, იმდენად მიმქრალი და მიყუჩებული აღმოჩნდა ქუთათელ ვაჭრებში გრძნობა სიყვარულისა ეროვნულისადმი. მოიუსუსტეს იქა, საცა გამკლავება ურყევი უნდა ყოფილიყო, სწორედ იქა, საცა ეროვნული ტკივილი და შეგნება უნდა ამეტყველებულიყო მთელი თავის ძლევამოსილებით. ეს სხვათა შორის არ გვითქვამს; და არც სიტყვის მასალად გვიხმარია. **ეს ჩვენი მტკიცე რწმენაა.** ქართველი ვაჭრები საშუალო საკომერციო სასწავლებელს აარსებენ, საკუთარის ინიციატივით, საკუთარის საღსრითა და ამ დროს მარცხადაც არ წამოუყენებიათ საკითხი, რომ სკოლა **ქართული** ყოფილიყო, ნამდვილი **ეროვნული,** რომ საგნების სწავლა ქართულად შემოელოთ. ეგ არის ჩვენი დროის დიდი დანაშაული! თუ ჩვენის თაოსნობითა და ჯიბით გამართულ სკოლებში სამშობლო ენა არ განვამტკიცეთ, რა ზნეობრივის უფლებით უნდა მოვითხოვოთ იგი მთავრობის სკოლაში! დიპლომიც რომ ემსხვერპლა უფლებაც, ამგვარ სკოლაში ქართული ენა უნდა გამეფებულიყო. ეს ქუთათელ ვაჭართა **ეროვნული** მოვალეობა იყო. თუ გვინდა ქართული აზრის გამდიდრება, თუ გვინდა ქართული ენა ლაღობდეს, მზეობდეს, ფრთას შლიდეს თავმომწონედ, მას კათედრაც უნდა შევუქმნათ. ქუთათელ ვაჭარ-მრეწველთ შეეძლოთ ასეთი კათედრის შექმნა, შეეძლოთ და თავი არ გამოიდეს ამისთვის. ეს არის ეროვნული შეცდომა, რომელიც გამოსწორებას მოითხოვს. ეროვნულის თვალსაზრისით უნდა განიზომებოდეს ყოველი ნაბიჯი, ყოველი დასაწყები საქმე; იგი უნდა იყოს გზის და ხერხის მაჩვენებელი კანდელი. მსხვეპლს მოგვთხოვს?—გავიღოთ იგი! შევეჩვიოთ ამასაც. მსხვერპლის სიდიადე, მისი გამღები პიროვნების სიდიადის ზომაა. ავმაღლდეთ ჩვენცა!

ს. კ—დია.

კბილის ექიმი ქალი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოზის ძე

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კალეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღ. 5—6 საათამდე, კვირა დღის გარდა. ოლდას ქუჩა, სახლი მელიქ-აზარიანცისა

ძ. გ ო ტ ა შ ი

ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

ომის დღიური

დეპეშები

თბილისი, 5 ივნისი. კავკასიის მთავარი შტაბის მოხსენება. 3 ივნისს ზღვის ნაპირას ზარბაზნისა და თოფის სროლა იყო. ოლთის მიმართულებით ოსმალთ იერიში მოჰქონდათ, მაგრამ ყველა მოგერიებულ იქმნა. დანარჩენ ადგილზე ცვლილება არ მომხდარა.

სტოკჰოლმი, 3 ივნისი: გერმანელთა მთავარი შტაბი იუწყება, რომ ინგლისელები და ფრანგები ბევრს ადგილას დიდძალი ჯარებით შეტევაზე გადავიდნენო. ინგლისელებმა იპრის ჩრდილოეთით დაჰჭირეს გერმანელთა პოზიციები. გერმანელთა შტაბივე არ უარჰყოფს იმ ამბავს, რომ რუსის ჯარებმა დნესტრის ჭაობებსა და ჟურავნოს შუა კვლავ წაიწიესო.

ლონდონი, 3 ივნისი. საადმირალო იუწყება, რომ გუშინ საღამოს „ცეპელინი“ გადმოფრინდა ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაპირებზე და რამდენიმე ცეცხლის მომკიდებელი ყუმბარა გადმოაგდოო. მოკლულია 15 კაცი, ამდენივე დაჭრილია.

ლონდონი, 3 ივნისი. „ლლოიდს“ მილფორდგეევიდან ატყობინებენ, რომ ინგლისელთა გემი „სტრეგნეირი“, როლიც პენარტიდან მოდიოდა, გუშინღამ დაულუპიათ პემბროკშირის ნაპირებთან. კაპიტანი და 21 კაცი გადარჩა.

ცეპელინის უკანასკნელ თარეშის დროს ჩდდილო-აღმოსავლეთის ნაპირზე დაიღუპა 8 კაცი და 40 დაიჭრა.

სტოკჰოლმი, 3 ივნისი. გერმანიამ ამ ბოლო დროს შვედთა გემებზე დიდად შეამსუბუქა კონტროლი. ამიერიდან შვეციიდან მიმავალ გემებს აღარ წაიყვანენ სვინემიუმდში და გაუჩხრეკლივ გაუშვებენ ეგეზუნდისკენ. ოღონდ კაპიტნებმა უნდა ფიცი განაცხადონ, რომ გემი შვედელების ნავთსადგურში მიდის.

სოლუნი, 3 ივნისი. საზღვაო მინისტრი ათინიდან იუწყება, რომ დალმაციის სანაპიროებზე ავსტრო-ვენგრელთა საზღვრით ათ მილის მანძილზე ნაღმები გაუწყვიათ.

ლონდონი, 3 ივნისი. სათემო პალატაში კამათის დროს დილონმა ირლანდიელ ნაციონალისტთა დავალეაით განაცხადა შემდეგი: „მართალია, ომის დაწყებიდანვე მთავრობას შევპირდით მხარს დაგიჭერთ ყოველისფერშიო, მაგრამ ჩვენ უფლებას ვიცავთ მთავრობის ყოველი ზომები გავაკრიტიკოთ. მიუხედავათ ამისა, ჩვენი გამოსვლა ყოველთვის იქნება სინიდისიერი, რომ პატიოსნურად დავეხმაროთ ახალს მთავრობას, ვიდრე ომს საბოლოოდ დაამთავრებდეს. ასკვიტი დიდის მადლობით მიეგება ეას.

სტოკჰოლმი, 3 ივნისი. გეტერშორგიდან იუწყებიან, რომ გერმანელთა წყალქვაშამ დაჭლუპა შვედების გემი „ფერდენდისი“. მეზღვაურები გადაარჩინეს.

ჰავრი, 3 ივნისი. ბელგიის მთავრობისაგან. 2 ივნისს ღამით დავზვერეთ ის ადგილი, რომელიც 19 ნომრის მიჯნასთან მდებარეობს, დიუქსმუნდეს გზაზე. დაზვერის შემდეგ გავმაგრდით კიდეც ამ ადგილებში, მტრის სანგრებში, რომლებიც, ეტყობოდა, საჩქაროდ დაუტოვებიათ გერმანელებს. ადგილ-ადგილ ეყარა დახოცილ მტერთა გვამები. მთელი დღის განმავლობაში ცხარე საარტილერიო ბრძოლა იყო რამპოკაპელეში, პრევიზეში, ნორდშტესა, რემიმგსა და მის მიდამოებში.

პარიზი, 3 ივნისი. საღამოს ოფიციალური ცნობა. იპრის ჩრდილოეთით ბრიტანიის ჯარებმა დაიპყრეს გერმანელთა სანგრების პირველი ხაზი. ვერ შევინარჩუნეთ ლაბასეს დასავლეთით დაჭერილი ადგილი. არასის ჩრდილო კუთხეში რამოდენიმე ადგილას წინ წავიწიეთ, განსაკუთრებით ლორეტის ა[illegible] სავლეთით და სუშეს სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით, აგრედვე ლაბირინტშიაც. ამავე დროს 300 კაცი ტყვედ წამოვიყვანეთ და ხელთ ვიგდეთ რამოდენიმე ტყვიისმფრქვეველი. არასის სამხრეთით გერმანელებმა ზარბაზანი დაუშინეს ტუვენის რაიონში წართმეულ პოზიციებს, მაგრამ ამავე დროს გერმანელების ქვეითი ჯარს იერიში არ მოუტანია ჩვენზედ. კენვიერთან მოვიგერიეთ მტრის კონტრ-იერიშები, რის შემდეგაც წავიწიეთ ჩრდილოდასავლეთით. ხელთ ვიგდეთ 100 კაცი ტყვედ, ამათ შორის 2 აფიცერი. რეიმსს კვლავ დაუშინეს ზარბაზანი. ქალაქში 100 ყუმბარა ჩამოვარდა; რამოდენიმე ცეცხლის წამკიდებელი ყუმბარა მოხვდა ტაძარს. ვოგეზებში მდინარე ფეხტის ორსავე ნაპირზე გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა. ამ მდინარის ჩრდილო ნაპირზედ დავიჭირეთ ბრაუმკომპფი და 340 უვნებელი კაცი ტყვედ წამოვიყვანეთ. ამათ შოროის ოთხი აფიცერია. დაგვრჩა დიდძალი სამხედრო მასალა, თოფი და ნახევარი მილიონი პატრონა. მტრის მფრინავებმა 2 ივნისს ყუმბარები დააყარეს ქალაქ ნანსის, სენდის და ბელფორს. ნანსში დაშავდა რამოდენიმე მშვიდობიანი მოქალაქე.

ბაზელი, 3 თიბათვე. გაზეთების ცნობით შვეიცარიასა და იტალიის შორის მოლაპარაკება სწარმოებს საქონლის გატანისა და შემოტანის თაობაზე. იტალიელი ელჩი ბერნიდან რომს გაემგზავრა.

პარიზი, 3 თიბათვე. შუაგულ საფრანგეთში მოგზაურობის დროს პუანკარემ სხვა და სხვა ქარხანა-ფაბრიკები ინახულა, სადაც ნაციონალურ თავდაცვის საქმეს აკეთებენ. ყველგან ქარხნების მოურავებს ესაუბრებოდა, რომ გაძლიერებულ მუშაობას საომარ იარაღის და მასალის დასამზადებლად დიდი მნიშვნელობა აქვსო. საბოლოო გამარჯვება, მისის აზრით, შედეგი იქნება მორალურ ძალისა, რაიც დამყარებულ იქნება მატერიალურ ძალაზე.

ლონდონი 3 თიბათვე. რეიტერის სააგენტოს მონრეალიდან ატყობინებენ: კანადისა და დიდი ოკეანეს კომპანიასა და რუსის მთავრობის შორის ხელახლად მოლაპარაკება სწარმოებს. შემდეგ აქ მოელიან, რომ სამხედრო მასალის დამზადება დასავლეთ კანადაში დაიწყებაო. შემდეგ გარდაგზავნიან დიდ ოკეანით ვლადივოსტოკში, საიდანაც შემდეგ რუსის მხედრობას და ჯარს ციმბირის რკინის გზით გარდაეცემაო. ამ ჟამად დასავლეთ კუთხის ქარხნებს სამხედრო მასალა არ ძალუძთ ბლომად მიაწოდონ, რადგან მათი გადაგზავნა თითქმის აკრძალულ ტარიფით სწარმოებს. ახალ შეთანხმების მიხედვით რუსეთში გზა გაეხსნება ზღვით საქონლის შემოტანას, რაიც ორივე მხარისთვის სასარგებლო იქნება.

ათინა, 3 თიბათვე. კერძო ცნობებით იტალიის ჯარი ვალონიდან გამოვიდა, დაიჭირა სტეფანი და ფიერი—ორი ადგილი ბერატის ოლქისა და ახლა ბერატს უახლოვდებიანო.

ნამდვილ წყაროებიდან იუწყებიან, რომ შავს ზღვაზე „ბრესლაუ“ შესამჩნევად დაზიანდაო. ერთი აფიცერი და 80 ჯარისკაცი დაეკარგაო. ამასთანავე რამდენიმე ნაღმოსანი და სურსათის გადამტანი გემი ჩაძირულ იქმნაო.

სტოკჰოლმი, 3 თიბათვე. ბერლინიდან ოფიციალურად იუწყებიან, გერმანელების წყალქვეშა ნავი „U 14“ დაიღუპაო.

ათინა. გაზეთი „ესტია“ მოუწოდებს მთავრობას დაუყოვნებლად იქნეს პალატა მოწვეული, რის მოწვევაც შინაურისა თუ გარეშე პოლიტიკის მოგვარების მოსაზრებამ გამოიწვია და იმ აუცილებლობამ, რათა ამ ჟამად ავადმყოფ მეფეს შეუმსუბუქოს ტახტის უფლებით სარგებლობა.

ქურნალ-გაზეთებიდან

გალიციაში.

პეტროგრადიდან დეპეშით იუწყებიან: „სამხედრო საქმის მცოდნეთა სიტყვით შესაძლებელია, რომ მტრის ახალი იერიშები მდინარე სანზე თვალისახვევა

იყოს. ცენტრი ბრძოლისა გალიციიდან თანდათან ნარევისა და რიგა-შავლის ხაზზე გადადის. რუსების წინააღმდეგ ავსტრო-გერმანელებმა აუარებელ ჯარს მოუყარეს თავი. გერმანელებს აქ 45 კორპუსი ჰყავთ, ავსტრიელებს კი 26. მდინარე ვიშნასა და ლიუბაჩევკას ნაპირებზე მტრის ჯარი 14 კორპუსამდეა. („კ. ს.“)

გალიციის ხაზის შესახებ სამხედრო გაზეთი „რუს. ინვალიდი“ სწერს: ჩვენი მორიგი საზრუნავი გახდა მტრის გამარჯვება მდინარე ვიშნა-ლიუბაჩევკის ნაპირებზე. ეს მარცხი იმას უნდა მიეწეროს, რომ მოპირდაპირემ დიდი ზარბაზნები მოიტანა აქ. სანის ფრონტის გარღვევა კვლავ განმეორდა და მტერმა გაანახლა შემოტევა წინანდელის მეიდრო წყობით. მტერმა ამ ადგილას ოდნავ წამოიწია წინ, მაგრამ ეს გარემოება მაინც უსიამოვნოა, რადგან იგი ემუქრება ზურგს ჩვენ ჯარისას, რომელიც დნესტრზე იბრძვის. სანის გარღვევის ლიკვიდაცია ამ მოკლე ხანში აუცილებელია.

გმირი ქალი.

ვანის მახლობლად მომხდარ ბრძოლაში მრავალ ქურთელ ქალს მიუღია მონაწილეობა. ერთ რუს მხედარს უამბნია: „მოწინავე რიგში იდგა ერთი ახალგაზრდა, და ლამაზი ქალი, ხელში მოკლე თოფი ეჭირა და გვესროდა. მისი მაგალითი სხვებსაც გულს უმაგრებდა. უცებ ქურთები თხრილებიდან გამოცვივდნენ და მედგარ იერიშით წამოვიდნენ. ამ გაშმაგებულ მეომართა რაზმს წინ უძღოდა ის ლამაზი ქალი, რომელიც შემდეგ გულგანგმირული ვიპოვეთ ბრძოლის ველზე. („ნ. ვ.“)

კაცობრიობის სამი მეოთხედი იბრძვის.

ინგლისურ გაზეთების გამოანგარიშებით იტალიის ჩარევის შემდეგ ეხლანდელ ომში მონაწილეობას იღებს კაცობრიობის ორი მესამედი. მთელი ქვეყნის მცხოვრებთა რიცხვი 1623 მილიონს უდრის, ხოლო მეომარ სახელმწიფოთა საზღვრებში სცხოვრობს 962 მილიონი სული.

იტალიის მეფე ბრძოლის ველზე.

იტალიის მეფე ვიკტორ-ემანუილი ბრძოლის ასპარეზზე იყო. პირადათ დათვალიერა სანგართა პირველი ხაზი და ბრძანა მისასვლელი სამთო პოზიციები ალპებში, სადაც კარგა მანძილზე ფოფხვით მიიწეოდა წინ.

სამხედრო მოქმედების გაცხოველება.

ცნობილი გერმანელი სამხედრო მწერალი მორატი სწერს „ბერლინერ ტაგებლატში“: იპრსა და კურტრეს შორის ფრანგებმა მოქმედება გააცხოველეს. მთელ ფრონტის სიგრძეზე, ფრანგებს მკაცრი იერიშები მოაქვთ. სინჯვენ, თუ სად არის სუსტი ადგილი და სად შეიძლება ჩვენი სტრატეგიული პოზიციების ხაზის გარღვევა. იგი აფრთხილებს გერმანელებს, რომელთაც შეცდომით ჰგონიათ, თითქოს ფრანგის ჯარის ძალა მოტეხილიყოს. ფრანგების იერიშებს განსაკუთრებული ცხარე ხასიათი ჰქონია სუასონის ჩრდილო-აღმოსავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით. მორატი ამ მოკლე ხანში დიდ ბრძოლას მოელის შამპანში.

გერმანიაში გვალვაა.

ბერლინში გამდგარი გვალვაა. დროგამოშვებითი წვიმები ჰაერს ვერ აგრილებს. ეშინიან, ვაი თუ წლევანდელი მოსავალი სულ გაფუჭდესო.

ქაღალდის წარმოების შემცირება.

გერმანიის ქაღალდის ქარხნების პატრონები იძულებულნი არიან, შეამცირონ ქაღალდის წარმოება, რადგანაც სელუთლოდი თითქმის შემოელიათ და მუშათა ხელიც საკმაოთ ვერა ჰყავთ.

შრომა და მამულის სიყვარული

ადამიანს უყვარს და აფასებს უფრო იმას, რაზედაც მას ოფლი და სისხლი დაღვრია, რაზედაც მას რამე ჯაფა დაჰხარჯვია. აგერ, ასზედ მეტი წელიწადი გავიდა, რაც ჩვენ თითქმის აღარავითარი ზრუნვა მიგვიძ ვის ჩვენი უბედური სამშობლო ქვეყნის წინაშე. მხოლოდ აქა-იქ სადმე თუ ჰღვიოდა ხოლმე პატარა ნაპერწკალი ამ მთელი დროის განმავლობაში, თორემ საერთო განმანათლებელს და გამათბობელს ძლიერს ცეცხლს ვერსადა ვხედავთ. ასმა უმოქმედო წელმა განვლო, თითქმის ოთხმა უმოქმედო ოაობამ, და აი სწორედ ეს ხანგრძლივი უმოქმედობა იმის მიზეზი აღის, რომ საზოგადოთ ასე გვაქვს მტკიცედ გამჯდარი ძვალსა თუ რბილში ფლიდობა, ცულლუტობა, უზრუნველობა და ხასიათის ყველა ის მრუდე თვისებანი, რომელნიც ასე ზედგამოჭრით აქვს აღწერილი ჩვენს დიდებულს ილიას თავის „ბედნიერს ერში“. თუ ჩვენი დაცემის მიზეზი ჩვენი უსაქმურობაა, ცხადია, საქმიანობა-ღა გამოგვიყვანს ეხლანდელს მდგომარეობიდან. მართალია, უკვე წარსულ საუკუნის ბოლო მეოთხედში და, განსაკუთრებით კი, ამ საუკუნის დამდეგიდან თითქოს საერთო გამოფხიზლების ელფერი დაეტყო ჩვენს ერს, მაგრამ ამას, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ მოაქვს, ან უკეთ ვსთქვათ, მოაქვს ძალიან მცირე სასურველი შედეგი. ამისი მიზეზი უნიადაგო განათლებაა. ჩვენი ახალგაზდობა არ იღებს განათლებას ეროვნულს ნიადაგზედ: სულ მთლად უცხოელების აზროვნებაზედ აღზრდილი, უმთავრესი ნაწილი ჩვენი მოსწავლე ახალგაზდობისა მშობლიურ ცხოვრების გარეშე რჩება. მას ყოველივე სხვა ერის ავკარგი მეტად აინტერესებს, ვიდრე თავისი ქვეყნის საზოგადო ჭირ-ვარამი: ხალხის გონებრივი თუ ქონებრივი სიბეჩავე, სიმშილი, აოხრება.

ამასთანავე კლასიკურ გიმნაზიების პროგრამა ახალგაზდობას უმეტეს ნაწილად ან მოხელეებად ჰხდის და ან ცრუ მოაზრეებად, ცულლუტებად, რომელნიც მუქთახორებად ევლინებიან ჩვენს ისედაც სუსტს საზოგადოებას. ჩვენი გიმნაზია ოფლით ნაშრომ ცხოვრებისათვის არა სწვრთნის ახალგაზდობას და სწორედ ამიტომაა ჩვენში ზნეობრივი ფარგალი ასე დაბლა დაწეული. საქმიანობას და ჯაფას უჩვენი ყოველნაირადა სცდილობენ როგორმე მსუბუქად მოიპოვონ ცხოვრებისათვის საჭირო ფული და ამის გამო საშუალების გარჩევას აღარ დასდებენ: ჰყიდიან წარბ-შეუხრელად თავიანთს სინიდისს, სამშობლო მიწა-წყალს, მშობლიურს ენას და მთლად თვის ეროვნებას. ადამიანი ადვილად სთმობს იმას, რისადმიც გულგრილობას იჩენს, უფრთხილდება და ინახავს იმას, რაც უყვარს და რასაც ფასსა სდებს, რადგან შრომა მიუძღვის, ამაგი ჰქონია. ჩვენ წინაპართ აუარებელი გონებრივი თუ ქონებრივი შრომა დაუხარჯავთ თავიანთ სამშობლო ქვეყანაზედ ამ კულტურის ნაშთებს დღეს განცვიფრებაში მოვყავართ—და აკი ისინი ვერც სთმობდნენ ჩვენსავით თავიანთ მიწა-წყალს. რაც მათ ძალა შეულევიათ და სისხლი დაუნთხევიათ თავიანთის ნაამაგარის დასაფარაკად, ეს მხოლოდ მათი ოფლით და სისხლით ნაშრომისადმი სიყვარულით თუ აიხსნება, თორემ მარტო სარწმუნოების ცარიელი სიტყვები ამ ზომამდე ვერ ააძგერებდა მათს გულს. ამის საუკეთესო დამამტკიცებელს მაგალითს დღევანდელს მსოფლიო ომში ვხედავთ: გერმანელებს სარწმუნოება არ აკავშირებს, მაგრამ ისინი მაინც თითქმის მთელს ქვეყანას უმკლავდებიან. ჩვენშიც რომ ამ გვარმა გრძნობამ გაიღვიძოს, საჭიროა ჩვენც ვიშრომოთ, შევქმნათ და შევიძინოთ რამე. საჭიროა მოუაროთ ჩვენს ქვეყანას, ავაყვავოთ იგი და შევამკოთ იმ სიტურფემდის, რომ იძულებულნი გავხდეთ შევიყვაროთ მთელი ჩვენი არსებით ჩვენი კეკლუცი სამშობლოს ყოველივე მტკაველი ადგილი.

ჩვენი ერის სხვა და სხვა წრეებს რომ გადავავლოთ თვალი, თამამად შეგვიძლიან აღვიაროთ, რომ მხოლოდ ჩვენს მშრომელს ხალხს, მხოლოდ დემოკრატიას უყვარს ნამდვილის სიყვარულით თავისი ქვეყანა: ის აკი [illegible] თავის მიწა-წყალს, [illegible] ცდილობს რაც შეიძლება მეტი მამული შეიძინოს; სამშობლო ენის უკეთესს დამცველადაც იგივ მშრომელი ხალხი გამოდის. მხოლოდ რაც დანარჩენების მაღალფარდებიანს, განსაკუთრებით შექეიფიანების დროს ლაპარაკს შეეხება სამშობლოს სიყვარულის შესახებ, უმეტეს ნაწილად მხოლოდ სიცრუეს და ცარიელ სიტყვებს რაბუნს წარმოადგენს; ეს კაჭკაჭისებური ჩვეულება უფროა, ვიდრე გონებით გაზომილი და გულის სიღრმიდან ამონაკვნესი გრძნობა. ამ გრძნობისთვის მათში საფუძველი არ მოიპოვება. ადამიანი არ დასთმობს ენას მაშინ, თუ დედის ძუძუდან აქვს მას ეს ენა თანდაყოლილი, ალერსი მითა ჰსმენია, გული მით გასთბობია, ასძგერებია და გონება განუმტკიცებია. არ დავთმობთ ჩვენს მამულს, ჩვენს მიწა-წყალს, თუ ჩვენი გონება და მკლავი აგვიმოძრავებია ტყე-ველის და მთა-მინდვრების დასამუშავებლად, ყოველივე კუთხე სამშობლოსი მოგვივლია, დაგვითვალიერებია და ყველგან არსებული ძალა გამოგვიყენებია, დაგვიმორჩილებია. რომელი ჩვენგანი უფრო დაიკვეხებს ამით, მკითხველმა თვითონ განსაჯოს. ყოველ შემთხვევაში, ვისგანაც მეტს მოველოდით მან მცირედის იმედიც გაგვიცრუა. ან საიდან უნდა ესწავლათ მიწაწყლის მოვლა, როდესაც სრულებით არ იძლევიან საჭირო ცოდნას ჩვენი გიმნაზიები, სადაც ზრდის თავის შვილებს დაწინაურებული საზოგადოება. მამულის დამუშავებისა და მოვლისათვის საჭიროა უმთავრესად ტეხნიკური და სამეურნეო სასწავლებლების გამრავლება როგორც ვაჟებისა, აგრედვე ქალებისათვის.

საქართველოს ეკლესია და მისი დამოუკიდებლობა

(წარსული, აწმყო და მომავალი*)

IV

საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის ფაქტიური გაუქმება და მისი შედეგები.

„სხვის უფლებათა დარღვევა, მეზობელთა შეურაცყოფა და წართმევა იმისი, რაც თვითონ არ ეკუთვნისთ, აღკრძალული აქვს საზოგადოთ ყველას, ხოლო უმეტესად ეპისკოპოსებს, რომელნიც ამასთანავე თავის ხელქვეითთათვის მისაბაძ მაგალითს უნდა წარმოადგენდენ ყოველსავე კეთილში“.

ზონარა.

მკითხველმა უკვე იცის წინა თავებიდან, თუ რა პრინციპებზე შენდება, საზოგადოთ, ამ თუ იმ ეკლესიის წყობილება და უფლებრივი მდგომარეობა და, კერძოთ, რა საფუძვლებზე იყო აგებული უფლებრივი მდგომარეობა და წყობილება საქართველოს ეკლესიისა.

1801 წელს, აპრილის თვეში, ქართველმა ელჩებმა რუსეთის მთავრობას წარუდგინეს ვრცელი ნოტა (ოც მუხლად), რომელშიაც, სხვათა შორის, საეკლესიო იერარქიის შესახებ ნათქვამი იყო შემდეგი: „§ 7 **სამღვდელოთათვის:** ვითარცა არს უპირველესი აწ საქართველოსა შინა სამღვდელოთა ერთა შორის ძე მეფისა ირაკლისა ანტონი, რომელსაცა აქვს **ძველისა აქაურთა განწესებისაებრ** ტიტულად **კათალიკოზობა...**,—ეგრეთვე დაშთეს იგი მასვე **თანამდებობისა და სახელსა შინა;** თანასწორადვე **სხვანიცა ეპარქიათა შინა თვისთა მყოფნი მიტროპოლიტნი, არხიეპისკოპოსნი და იღუმენნი,** პროტოპოპნი, მღვდელნი და დიაკონნი და სხვანიცა ეკლესიისა მოსამსახურენი, თვითოეულნი წოდებისაებრ თვისისა და ადგილთა მათთა სახელდებით“ [1]). იმავე წლის 12 სექტემბერს იმპერატორმა ალექსანდრე I-ელმა გამოსცა მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ, სადაც იმპერატორი დიდს იმედებს ამყარებს ქართველ სამღვდელოებაზე, როგორც „სულიერს მწყემსებზე, რომელნიც მაგალითს აძლევენ“ მთელს სამწყოსს, და თან აღუთქვამს ქართველ ერს, რომ „ყველას ხელუხლებელი შერჩება უპირატესობანი თვისის მდგომარეობისა, თავისუფალი შესრულება თვისის სარწმუნოებისა და საკუთრება“ [2]).

მაგრამ არ გაუვლია ამას შემდეგ ათ წელიწადზე მეტს, რომ იმავე იმპერატორის მთავრობამ, სამხედრო ღენერლის ტორმასოვის (მთავარმართებლის) მოხსენების მიხედვით და რუსეთის სინოდის თანხმობით, მაგრამ თვით ქართველი ერისა, ქართველი სამღვდელოებისა და მსოფლიო პატრიარქთა დაუკითხავად, ფაქტიურათ მოსპო, 30 ივნისს 1811 წელს, დამოუკიდებლობა საქართველოს ეკლესიისა, რომელიც რუსეთის სინოდს დაუქვემდებარა, მოსპო თოთხმეტსაუკუნოვანი თანამდებობა კათალიკოზობისა, სრულიად უდანაშაულოთ და გაუსამართლებლად გადააყენა სამსახურიდან და რუსეთში გადაასახლა კათალიკოზი ანტონი მეორე, ხოლო მის ნაცვლათ საქართველოს ეკლესიის გამგედ დანიშნა რუსეთის სინოდის მიერ ხელდასხმული მიტროპოლიტი ვარლამ ერისთავი „ექსარხოსის“ წოდებით [3]); მაგრამ როცა რუსის მთავრობას ვარლამმაც ვერ ასიამოვნა, იგიც გადაყენებულ იქმნა [4]) და მას შემდეგ ექსარ-

*) იხ. „საქართველო“ № 11.

[1]) იხ. პროფესორ ალ. ცაგარლის მიერ გამოცემული დოკუმენტები რუსეთის უცხოეთის საქმეთა სამინისტროს არქივიდან: „Грамоты и другіе историческіе документы, относящіеся до Грузіи“ т. II, выпускъ I. Спб. 1898 г.. стр. 201.

[2]) იხ. უმაღლესი მანიფესტი 1801 წლის 12 სექტემბრისა („Акты, собранн. Кавказск. Археограф. Коммисіею“, т. I, стр. 432—433.

[3]) აქ ჩამოთვლილ ფაქტების მშვენიერს განმარტებას იძლევა პროფესორი ალ. ცაგარელი თავის წერილებში: „Статьи и замѣтки по грузинскому церковному вопросу“ (Къ столѣтію—1811—1911 г.г.—вдоства грузинской церкви). Спб. 1912 г.. стр. 129—134; შეად. იქვე, გვ. XXXIII—XXXVI.

[4]) ვარლაამი ექსარხოსობიდან გადაადგენეს 1817 წელს და მის ნაცვლათ დანიშნეს პირველი რუსი ეგზარხოსი თეოფილაქტე რუსანოვი.

ხოსად სულ რუსეში ითვლებიან. ამასთანავე თანდათან დაიხურა ერთი მეორის შემდეგ უძველესი სამიტროპოლიტო, სამთავარეპისკოპოსო და საეპისკოპოსო კათედრები, რომელთა რიცხვი მთელ საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს 21-მდე აღწევდა [5]), და მათ ნაცვლათ სინოდის მიერ, თვით ქართველი ერისა, სამღვდელოებისა და საეკლესიო კრების დაუკითხავად, გაიხსნა ერთი სამთავრ-ეპისკოპოსო ეპარქია: იმერეთისა, გურია-სამეგრელოსი და სოხუმისა. დასასრულ, 1852 წელს, ალექსანდრე I-ელის მემკვიდრის, ნიკოლოზ I-ელის დროს, საქართველოს ეკლესიას ჩამოერთვა და სახაზინოდ ჩაირიცხა დიდძალი უძრავი ქონება, რომლის საერთო ღირებულება რამოდენიმე მარტო ტფილისის გუბერნიაში სამოცდახუთ მილიონს აღემატება, ხოლო ყოველწლიური შემოსავალი, დღევანდელის ანგარიშით, სამს მილიონს გადააჭარბებს [6]). რაღა თქმა უნდა, ყოველსავე ამასთან ერთათ, რუსის მთავრობამ, თანახმათ რუსეთის ეკლესიის წყობილებისა, სრულიად მოსპო საქართველოში ეგრეთ წოდებული კრებითი დასაბამი ანუ საეკლესიო კრებები: მთელი მართვა-გამგეობა სასინოდო კანტორის ხელში გადავიდა, რომელიც 1814 წელს დააარსეს [7]).

ამგვარათ, ქართველი ერის წარმომადგენელთა სურვილის წინააღმდეგ, თვით მორწმუნეთა, ადგილობრივისა და მსოფლიო საეკლესიო კანონებისა და უბრალო სამართლიანობის დარღვევით,

1) თოთხმეტსაუკუნოვანი თანამდებობა და ხარისხი კათალიკოზობისა, 2) თითქმის რვაასწლოვანი სრული დამოუკიდებელობა (ავტოკეფალია) ეკლესიისა, 3) ეკლესიის მართვა-გამგეობაში კრებითი პრინციპი და 4) ქონებრივი დამოუკიდებლობა ეკლესიისა; სამაგიეროდ: 5) დაარსდა „ექსარხოსის“ თანამდებობა, 6) საქართველოს ეკლესია დაუქვემდებარა რუსეთის სინოდს (ე. ი. სრულიად სხვა ეკლესიის საადმინისტრაციო ორგანოს), 7) ადგილობრივი მართვა-გამგეობა გადასცა სასინოდო კანტორას და 8) ეკლესია და სამღვდელოება პირდაპირ დამოკიდებული გახდა სახელმწიფო ხაზინაზე.

ჩვენ აღარ გამოუდგებით უფრო წვრილმანი ცვლილებების ჩამოთვლას, რომელნიც რუსეთის მთავრობამ საქართველოს ეკლესიის წყობილებასა და გამგეობაში მოახდინა. დასახელებული მთავარი ცვლილებანიც საკმაო არიან იმ შედეგთა ასახსნელად, რომელთაც მალე თავი იჩინეს ეკლესიისა, სამღვდელოებისა და მთელი ერის ცხოვრებაში: ა) ეკლესია და სამღვდელოება

ბ) ხალხი და სამღვდელოება (განსაკუთრებით მაღალი სამღვდელოება) თანდათან დაშორდა ერთი-მეორეს, რამაც ბოლოს აშკარა განხეთქილებამდე მიაღწია, გ) ძველი დროის დიდებული ტაძრები და მონასტრები თანდათან დაცალიერდნენ და იწყეს ნგრევა, დღეს უმეტესი მათგანი პირუტყვთა სადგურად არის გადაქცეული, დ) მორწმუნეთა გრძნობის დამატკბობელი საეკლესიო გალობა, საეკლესიო ხუროთმოძღვრება და მხატვრობა სრულიად დაეცა ან ერთ წერტილზე გაიყინა, ე) ზნეობის ამამაღლებელი, გონების მავარჯიშებელი და ენის მავითარებელი ქართული საეკლესიო მჭერმეტყველება და ღვთისმეტყველება სრულიად მოისპო ან გადაგვარების გზას დაადგა, ვ) დასასრულ, უმეტეს შემთხვევაში, სამღვდელოება გადაიქცა

ეროვნული გადაგვარების იარაღად. ყოველისავე ამის გამო ხალხი ჩამოშორდა ეკლესიას და ჩაიფლო ათასგვარ ცრუმორწმუნოებაში;

ერთი სიტყვით, ქართველი ერის უშინაგანესმა მსოფლიომ, მისმა სინიდისის თავისუფლებამ და ეკლესიამ მე-XIX-ე საუკუნეში განიცადა ისეთი ძალმომრეობა, როგორიც მანამდე არასოდეს არ განუცდია. ამგვარმა მდგომარეობამ გამოიწვია, როგორც მოგეხსენებათ, მთელი ქართველი სამღვდელოებისა და ერის შეგნებული ნაწილის სამართლიანი გულისწყრომა 1904—1906 წლებში (პეტიციების სახით); მანვე აამუშავა რუსეთის საეკლესიო კრების მთელი წინასწარი კომისია, რომელშიაც განსაკუთრებითი თავი იჩინეს უშიშარმა მღვდელ-მთავრებმა: კირონმა და ლეონიდმა და ქართველმა პროფესორებმა: ალ. ცაგარელმა და ნიკ. მარმა; მანვე აალაპარაკა მთელი ქართველი პრესა და უდიდესი ნაწილი რუსულის პრესისა; დასასრულ, მანვე ხმა ამოაღებინა ჩვენს სოციალისტ დეპუტატებსაც კი სახელმწიფო სათათბიროში მიუხედავად იმისა, რომ ის პოლიტიკური პარტია, რომელსაც ეს დეპუტატები ეკუთვნიან, 1905—1906 წლებში სასტიკ ბოიკოტს უცხადებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს და არცერთს მის მომხრეს ნებას არ აძლევდა, ხალხის წინაშე ეკლესიის შესახებ კრინტი დაეძრა.

მიუხედავად ყოველისავე ამისა, შექმნილი სავალალო მდგომარეობა ჩვენის ეკლესიისა დღესაც განუკურნებელია, დღესაც ქართველი ერის სინიდისს, მის სარწმუნოებრივს თვითშეგნებას, სული ხდება უცხოთა მონობის ქვეშ. ამიტომ უნებლიეთ იბადება საკითხი: რა სჭირდება საქართველოს ეკლესიას?

(შემდეგი იქნება)

ერისგანი.

[5]) **ქართლში იყო 8 ეპარქია:** მცხეთისა (საკათალიკოზო), თბილისისა, სამთავროისა, რუისისა, წილკნისა, სამთავისისა, ურბნისისა და ნიქოზისა; **კახეთში** 5: ალავერდისა, ნინოწმიდისა, რუსთავისა, ნეკრესისა და ბოდბისა; **იმერეთში** 4: გელათისა, ქუთაისისა, ხონისა და რაჭისა; **სამეგრელოში** 3: ჭყონდიდისა (მარტვილისა), ცაგერისა და ცაიშისა; **გურიაში** 1: —ჯუმათისა (იხ. კირიონ ეპისკოპოსის „Краткій очеркъ исторіи грузинской церкви и экзархата за XIX столѣтіе“ Тифлисъ. 1901 г., стр. 38, 70, 74, 77).

[6]) იხ. ანტ. ნატროშვილის საინტერესო ცნობები ოფიციალურ ჟურნალში „Вѣстникъ грузинскаго Экзархата„ за 1914 годъ № 7, стр. 251.

[7]) იხ. კირიონ ეპისკოპოსის ზემო დასახელებული წიგნი, გვ. 53,

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალების აღზრდას, მეურნეობასა და ხელსაქმიანობას, რომ გააჩაღონ ყოველივე დარგი შრომისა თავიანთ კერაზედ, სადაც ბავშვი ოჯახში წევრად შესვლისთანავე შეაჩვევს საქმეს თკალს, ყურსა და ხელსაც.

იქნებ პირველში, სანამ ჩვენი საზოგადოება გამოფხიზლდებოდა, ერთ გვარ მსოფლ მხედველობას შეიმუშავებდა, მართლა გიმნაზიური სწავლა-აღზრდა და განათლება სჯობდა. მაგრამ ეხლა, როდესაც ხალხმა გამოიღვიძა და თვალი აახილა, უმეტესი ყურადღება ხალხის ეკონომიურ აღორძინებას უნდა მიექცეს, რისთვისაც, კვლავ ვიმეორებ, ახალმა გიმნაზიებმა ტეხნიკურს და სამეურნეო-სამრეწველო სასწავლებლებს უნდა დაუთმონ ადგილი.

მხოლოდ როდესაც გაგვიმრავლდება მშრომელი ხალხი და პატიოსანის შუბლით ოფლი იწყებს დენას, მამულისადმი სიყვარულიც მაშინ აყვავდება.

მ. შალამბერიძე.

კვირის სურათებიან დამატებაში მოთავსებული იქმნება სურათები: დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე, მუხრან-ბატონის გამოსვენება, ცეპელინი, ომში დაჭრილნი, ბრძოლის სურათი დასავლეთ ფონტზე, სამი კარიკატურა საჭირბოროტო კითხვებზე. სხვა და სხვა წერილები, ვაუას ექსპრომტი და ახალი პოემა „ივერიკო“ სანდრო შანშიაშვილისა.

ახალი ამბავი

ნიაღვარი თბილისში. 4 ივნისს თბილისში კოკისპირული წვიმა მოვიდა. ზოგიერთ ქუჩებზე ნიაღვრები მდინარეებად გადაიქცა. ბევრგან ეტლები და ავტომობილებიც კი ვერ დადიოდნენ. ტრამვაის ვაგონების მოძრაობა შეწყდა. მრავალ ადგილას სახლების ქვეშა სართულები წყლით აივსო. მოსკოვის ქუჩაზე ნიაღვარმა აუარებელი ქვა-ქვიშა ჩამოზიდა. წვიმა არ გვეშვება. გუშინ საღამოსაც კოკისპირული წვიმა მოდიოდა.

სამართალი. განმანაწილებელ საავადმყოფოს მსახურნი და დანი მოწყალებისა უჩიოდნენ ამავე საავადმყოფოს უფროსს ექიმს, მინასიანცს, უზრდელად გვექცევა და გვავიწროვებსო. ეს საჩივარი განიხილა ქალაქის აღმასრულებელმა კომისიამ და საჩივარი უსაფუძვლოდ სცნო: ექიმი მინასიანცი კანონის ასრულებას ცდილობდა, ყველა მოსამსახურესაგან თხოულობდა წეს-რიგის დაცვას და მხოლოდ ამაში მიუძღვის მას დანაშაული.

ფინანსთა მინისტრის განკარგულება. დამოუნის ინსპექტორს, ბ-ნ ლებედევს, ფინანსთა მინისტრის ბრძანება მოუვიდა იმის შესახებ, რომ შავი ვერცხლის (პლოტინა) გატანა საზღვარ გარედ აღიკრძალოსო.

სესხის აღება. კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო თბილისის ქალაქის გამგეობას ისესხოს მოკლე ვადით 150 ათასი მანეთი.

მადლობა „განათლების“ საზოგადოებისაგან. „განათლების“ საზოგადოება უღრმეს მადლობას უცხადებს ექიმ ნიკ. მიხ. მელიქიშვილს, რომელმაც თავის პატარა ქალის მაკას სახელობით შემოსწირა **ათი თუმანი** ქალთა სამოსწავლო სემინარიის სასარგებლოდ და ამითი საძირკველი ჩაუგდო ამ დიდ მნიშვნელოვან საქმეს.

დელეგაცია. 3 თიბათვეს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებაზე დელეგაცია იქმნა არჩეული მათი იმპერატორობითი უმაღლესობის დიდი მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის დაკრძალვაზედ დასასწრებლად. დელეგაციაში მოჰყვნენ ხელმწიფის ამალის გენერალ მაიორი თავადი ა. ი. მუხარბატონი, სახელმწიფო საბჭოს წევრი თ-დი ა. ი. ერისთავი, არტილერიის გენერალი თ-დი გ. ს. ხიმშიაშვილი და კავალერ გარდის პოლკის კამანდირი გენერალმაიორი ა. ნ. ერისთავი.

სახალხო სახლში ოთხშაბათს 10 ივნისს ქართველ მსახიობთა მიერ ვალერიან გუნიას, ტასო აბაშიძის, მ. ქილარჯიშვილის, დ. მგალობლიშვილის, ს. რომანიშვილის და სხვათა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება დიუმას ცნობილი პიესა **„ედმონდ კინ“**, ანუ „სალახანა გენიოსი“. პიესა პირველად იქნება სრულად წარმოდგენილი ქართულ სცენაზე; რადგან დღევანდლამდე უკანასკნელ მოქმედებას პიესის დასასრულს არ ადგენდნენ. მთავარ როლს პიესისას მსახიობ **კინს** პირველად ითამაშებს დამსახურებული მსახიობი ბ-ნი **ვალ. გუნია.** ბილეთების ფასი ყველასათვის ხელმისაწდომია.

თბილისის ოლქის სასამართლომ არ შეიწყნარა ქალაქის გამგეობის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ გახსნილიყო თბილისში კიდევ სამი კონტორა ნოტარიუსისა—ვერაზედ, ავლაბარში და მიხეილის პროსპექტზე. ოლქის სასამართლო თავისს ასეთ დადგენილებას იმით ასაბუთებს, რომ ყველა სავაჭრო-სამრეწველო და მთავრობის დაწესებულებანი ქალაქის შუა ადგილას არის დაბინავებული და ნოტარიუსთან სიარული ქალაქის განაპირას მათთვის შეუძლებელიაო.

ბრალდების გამო. ქალაქის აღმასრულებელმა კომისიამ განიხილა გაზ. „თანამედროვე აზრში“ მოთავსებულნი წერილები იმის შესახებ, რომ კავკასიის ქალაქთა ბიუროს განმანაწილებელ საავადმყოფოში ქურდობა და სხვა ბოროტმოქმედება ხდებაო. მანვე განიხილა საავადმყოფოს ექიმის მინასიანცისა, ზედამხედველის ჯაფარიძისა, კონტროლიორების და თვით კომისიის თავმჯდომარის, თავ. ა. მ. არღუთინსკის, მოხსენებანი ამის შესახებ და ამ უკანასკნელთა თავის მართლებით დაკმაყოფილდა და ნება დართო წერილებისგან შეურაცხყოფილთ, თუ სურთ, სასამართლოს მიჰმართონ.

მარშლების არჩევა. დღეს ნაშუადღევის 2 საათზე, მოხდება თბილისის მაზრათა მარშლების არჩევნები. თავადაზნაურობა შეიკრიბება „ახალ კლუბის“ დარბაზში.

ქალაქის გამგეობა შუამდგომლობას აპირებს ქალაქის საბჭოს წინაშე იმის შესახებ, რომ ქალაქის იმ მოიჯარადრეთ და აგრეთვე სხვა მოვალეებს, რომელთაც ქალაქის ვალი მართებსთ და რომელნიც ჯარში არიან გაწვეულნი, ან თავის ნებით წავიდნენ საბრძოლველად, შეღავათი მიეცესთ.

შეცდომის გასწორება. ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში, მ. ად-ლის წერილში

დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
ეს ნაპერწკალი სერბიაში გამოიავესა.	გამოიკვესა.
1903 წლიდან.	1908 წლიდან.
ავსტრიამ თავი შეურაცყოფილად იგრძნო.	ავსტრიამ შეურაცყოფა იგრძნო.
აუცილებელია, აუცილებელია!	აუცილებელი—აუცილებელია!

მოსკოვის ამბები

28 მაისი ისტორიული დღეა. მოულოდნელმა ამბებმა ერთობ შეარყიეს მშვიდობიანი ცხოვრება, მოსკოვის ორმილიონ ნახევრიან მცხოვრებთა მყუდრო მდგომარეობა. დაიწყო მაღაზიების ნგრევა, რომელნიც რუსეთთან მეომარ სახელმწიფოებს ეკუთვნოდნენ. ვიდრე ეს ამბები დაიწყებოდა, ხალხში ხმა გავარდა, გერმანელები სცდილობენ თავიანთ თანამემამულეებს დაეხმარნენ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაშიო. ეს ხმები თანდათან მძინვარდებოდა. უკანასკნელ ხანებში იგი დაბეჯითებულ რწმუნებად გარდაიქცა. მუშათა შორის ის ხმაც კი გავარდა, ვითომც გერმანელები წყალსა შხამავენო ქარხნებში, სადაც-კი პატარა ავადმყოფობა გაჩნდა, მუშებმა მოითხოვეს დაუყოვნებლივ გერმანელი მუშები უნდა დაითხოვოთო. ეს მოთხოვნილება არ იქმნა შესრულებული, რადგანაც ქარხნის ადმინისტრაციამ ეს მოთხოვნილება უსაფუძვლოდ სცნო. ამ ნიაღაგზე 27 მაისს ცინდელისა და ბრადერის ქარხნებში უწესობა მოხდა. მუშებმა გერმანელ მსახურთა სადგომი ოთახები აიკლეს, იქაურობა დაანგრიეს. ეს უწესობა უკვე ნიშანი იყო იმისა, რაც 28 მაისს მოჰყვა შედეგად.

დილით 28 მაისს, ასე ათ საათზე, ბოროვიცკის კარებთან პატარა ბრბომ მოიყარა თავი. მალე ამ ბრბოში ააფრიალეს რუსეთის დროშები. ერთს ხელში ხელმწიფის სურათი ეჭირა. ბრბო მოჰყვა გალობას: „ღმერთო, ჰფარვიდე მეფეს“. ამ გალობამ ბევრი გამვლელი ჩაითრია. ქუდ მოხდილი ბრბო ოანდათან იზრდებოდა და მალე საოცარ ტალღას დაემსგავსა. „ურა“-ს ძახილით და „გაუმარჯოს ხელმწიფე იმპერატორს და რუსის არმიას“,—ბრბო ბრწყინვალე პროცესიით გაემართა „წითელ მოედნის მინინ და პოჟარსკის ძეგლთან. ერთი სიტყვით, განმეორდა იგივე სურათი, რაც ომის დაწყების დროს იყო. გზა და გზა კვლავ ახალ-ახალი ჯგუფები ემატებოდნენ.

ბრბოს ერთი ნაწილი მეორე მხარეს გაემართა და გერმანელთა მაღაზიებს დაუწყეს ნგრევა-დარბევა. პირველად განადგურეს ეინეს და ცინდელის მაღაზიები. ბრბოდან არვის არაფერი მოჰქონდა თან. საქონელს ქუჩაში ჰყრიდნენ და იქვე ანადგურებდნენ. თუ ვინმე რამეს წაჰგლეჯავდა შინ წასაღებად, გზაზევე იჭერდნენ. ხელ ახლად ართმევდნენ და იქვე სპობდნენ.

ამ დარბევის ამბავი ელვასავით მოედო ქალაქს. მთელი ხალხი აქეთ მოაწყდა სასეიროდ. ბრბო საოცარის სისწრაფით იზრდებოდა და იზრდებოდა. პოლიცია კი უძლური იყო, რომ ბრბოსთვის რამე პასუხი გაეცა. გაცოფებული ტალღა კი იმავე ჰიმნით და ღრიანცელით გაემართა „კიტაი-გოროდისაკენ“, შემდეგ იუბიანსკის მოედნისაკენ. ერთსა და იმავე დროს სხვა და სხვა უბანში განაგრძობდნენ გერმანელთა მაღაზიების ნგრევა-დარბევას.

პირველად ბრბოს მეთაურნი ხელოვნურად ხელმძღვანელობდნენ, რომ არა გერმანელთა და არა ავსტრიელთა მაღაზიებისთვის ხელი არ ეხლოთ. ხელში სია ეჭირათ და ასე ხელმძღვანელობდნენ ბრბოს. როდესაც აღნიშნულ მაღაზიასთან მიდიოდნენ, ხელმძღვანელნი ჯერ შიგნით შედიოდნენ და, როდესაც უპასუხებდნენ, რომ მაღაზიის პატრონი არც გერმანელია, არც ავსტრიელია, სთხოვდნენ ამის დამამტკიცებელ საბუთებს. თუ საბუთები სამართლიანი აღმოჩნდებოდა, ბრბო თავს ანებებდა და ახლა სხვა მაღაზიებისკენ მიისწრაფოდნენ. ბრბო ხელმძღვანელებს უდრტვინველად ემორჩილებოდა, მაღაზიებს ხელს არ ახლებდა

მაგრამ ეს იყო მხოლოდ პირველად, როდესაც ბრბო შედარებით პატარა იყო. მაგრამ როდესაც იგი უსაზღვროდ გაიზარდა და რამდენიმე ჯგუფად გაიყო, მაშინ ხელმძღვანელებმა დაჰკარგეს გავლენა და თვითვე მათს გავლენას დაემორჩილნენ.

ამაში განსაკუთრებით ხელი შეუწყო მთვრალმა ბრბომ, რომელსაც ცხარე სასმელები ეშოვნათ განადგურებულ სასმელების საწყობებში.

დაიწყეს კერძო მესაკუთრეთა ქონების ტაცობა, ქალები, ბავშვები ღლიაღლიად ეზიდებოდნენ ნარბევ ქონებას. ბინდისას ნაძარცვი ნადავლით შეხვდებოდით თვით სუფთა და რიგიანად ჩაცმულებსაც კი. ბრბო ახლა აღარას დაგიდევდათ, თუ ვის ეკუთვნოდა განადგურებულად აღნიშნული მაღაზია. საკმარისი იყო არარუსი გვარისა აღმოჩენილიყო პატრონი, რომ მისი ქონება გაენადგურებინათ. ამიტომ ძალიან ბევრი დაშავდა თვით რუსეთის ქვეშევრდომებიდანაც.

უწესობამ და საზიზღრობამ ღამით უკანასკნელ წერტილს აღწია. სწვავდნენ განადგურებულ მაღაზიებს. ცეცხლის მქრობელთა რაზმი ველარ აქრობდნენ ცეცხლს. ზოგიერთა მაღაზია დილამდე ცეცხლის ალში იყო გახვეული.

ღამით ბრბო სრულებით აღარ არჩევდა, თუ ვის ეკუთვნოდა გასანადგურებლად აღნიშნული მაღაზია. ეს შეუძლებელიც იყო, რადგან 8 საათის შემდეგ ყველა მაღაზიები დაკეტილი იყო და დოკუმენტების გარჩევა შეუძლებელი შეიქნა.

ღამის სამ საათზე დარბევამ იწყო კლება, ხოლო 5 საათისათვის სრულებით შეწყდა.

მრავალი ძვირფასი ქონება განადგურდა და დაიღუპა. ამ დარბევის დროს პირველად მუშები ერევნენ, მაგრამ ოა წამს ბრბომ რბევა და ძარცვა-გლეჯა დაიწყო, ისინი გამოეყვნენ და შინ დაბრუნდნენ. განადგურებულ მაღაზიების რიცხვი და ზარალის რაოდენობა ჯერ გამოურკველია

29 მაისს დილით ბრბოს ჰსურდა წინა დღის ამბების გაგრძელება, მარგამ პოლიცია და ჯარი ამის ნებას არ აძლევდა და ყველას სასტიკად ჰრეკავდა.

ქართული პრესა

ვაის გავეყარე, ვუის შევეყარეო,—ეთქმით აჭარლებს. „თანამედროვე აზრს“ სწერენ:

„არ აკმარა ყოველივე ეს. დღე არ გადის, რომ ხან სამხედრო და ხან სამოქალაქო გამომძიებელთა კომისია არ ესტუმროს ხულოს და ათი, თხუთმეტი მუშა ხელი ამ ხვნა-თესვის დროს არ მოგლიჯოს თავის მიწა-წყალს და მშიერ-ტიტველ ცოლშვილს; ეტაპი ეტაპზე მიემგზავრება 80 ვერსის მანძილზე, ბათომისკენ. გიკვდება ადამიანს გული, როდესაც მათ შორის ხედავ ზოგიერთა გაიძვერების, უმგზავს სურვილების მსხვერპლთ. დღეს აჭარლები არაჩვეულებრივ სახელს ატარებენ, განსაკუთრებული წრე მათ ურცხვათ მოღალატის სახელით ნათლავს. გინდა სთქვა სინამდვილე, გინდა გამოსთქვა ყოველივე ის უარყოფითი მოვლენები, რასაც ასეთი შედეგი მოჰყვა, მაგრამ დროთა ვითარება გამუნჯებს...

სარგებლობენ აჭარლების სიმუნჯით, მათი „საეჭვო“ მდგომარეობით ზოგიერთი ქრისტიანი ჩარჩები, არ შედიან გაპარტახებულ აჭარლების მდგომარეობაში და გამდიდრების სურვილებს გაუტაცია. მერე რა გზით და ვისით?!

მათით, ვინც ამ სულმდაბალ ჩარჩებს ჩეტნიკების შესევის დროს სიცოცხლე შეარჩინეს. როდესაც ხულოს თათრის ჩეტნიკები შემოესია, ქრისტიანობამ გაასწრო, დარჩა ხულოში, რაღაცა მიზეზების გამო სამი ქრისტიანი, თუმცა სხვებთან ერთათ მათაც შეეძლოთ განშორებოდენ ამ ადგილს. დაუწყეს ჩეტნიკებმა მათ ძებნა, იგრძნეს ჩარჩებმა სიკვდილის მოახლოება და სასოწარკვეთილებას მიეცნენ. აჭარლებმა მათ ხელი გაუწოდეს გაჭირვების დროს. ერთი მათგანი ს. ყადიოღლებში დამალეს, მეორე ხულოში და მესამე კი ს. ქედლებში. როდესაც ჩეტნიკებმა მას მიაკვლიეს, ქალის ტანისამოსით შემოსილი გააპარეს სოფ. სხალთაში. შემდეგ კი, როდესაც ჩეტნიკებმა ჩაიგდეს ხელში, აჭარლების ხვეწნა-მუდარამ გადაარჩინა ისინი ჩეტნიკების მახვილს, რის შემდეგაც შეიქნენ მოწმეთ ყოველივე იმისა, რაც ხულოში ხდებოდა თათრების თარეშის დროს. დაბრუნდა ადმინისტრაცია, მცხოვრებლები ჩაცვინდენ ჯოჯოხეთურ პირობებში და მათ სიმწარეს ზედ დაამატეს თვისი ბოროტება და სულმდაბლობა აჭარლების მიერ სიკვდილისაგან გადარჩენილთაგან ორმა ჩარჩმა. დაავიწყდათ ამ ვაუბატონებს, თუ რა ფასათ დაუჯდათ აჭარლებს მათი სიკვდილისაგან გადარჩენა, ხან ერთ უდანაშაულოს ადებენ ხელს და ხან მეორეს, ვითომ იარაღით ხელში ებრძოდენ რუსის ჯარს. შეშინებული აჭარლები, დარწმუნებულნი, რომ ასეთ ბრალდებით მოსწყვეტენ კერას, მშიერ-ტიტველ ცოლ-შვილს და დარჩებათ დაუმუშავებელი მათი მამული, ანგარიშს უწევენ და, თუ რაიმე გადარჩა ჩეთნიკების შემოსევის შემდეგ, იმასაც ჰყიდიან და აკმაყოფილებენ საზიზღარ წურბელებს“.

აი კლასიკური ნიმუში უმადურობისა და უსაზიზღრესი გაუტანლობისა ეს მაგალითი ქართველობამ გულში უნდა ჩაიჭდიოს და არასოდეს არ დაივიწყოს.

აჭარა იღვიძებს.

ქართულ გაზეთებში დაისტამბა ცნობა, რომ შუაგულ აჭარაში, სოფელ ხულოში გენ. პოროშინი მივიდაო. გენერალს დავალებული ჰქონდა ოფიციალური გამოძიება მოეხდინა და რჩევა-დარიგება მიეცა ხალხისთვის.

ვისაც უნახავს და წარმოდგენილი აქვს დიდ მოხელეთა ოფიციალური დავალებით სოფლებში გამგზავრება, როგორ თრთის და კანკალებს მდაბიო ხალხი, ის ადვილად მიხვდება, თუ რას ფიქრობდნენ და გრძნობდნენ აჭარელნი გენ. პოროშინის წინაშე... მიუხედავად ამისა, კორესპონდენტები იტყობინებიან: „გენერალმა გულდასმით მოისმინა ხალხის თხოვნაო“. საგულისხმო ის არის, რომ დარბეულ-აწიოკებული ხალხი საერთოდ ახერხებს თავის გაჭირვების სიტყვიერად გამოთქმას. აჭარლებს უჭირთ, ულმობელმა ბედმა მათი სარჩო-საბადებელი ცეცხლს გადააბუგვინა, მრავალი მოხუცი დედა და უსუსური ბავშვი უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ დარჩა და აბა ასეთ ყოფაში ადამიანებმა სიტყვიერი საყვედური მაინც არ განაცხადონ?!. მათ სთქვეს თავიანთი სიტყვა და, ეჭვს გარეშეა, რომ ეს სიტყვა ისეთი დინჯი და ზომიერი ხასიათისა იქნებოდა, როგორც ძველი მესხების შესახებ ამბობდა უკვდავი შოთა: „მესხნი სიდარბაისლით ცნობილიო“.

აჭარლებმა თავიანთ თხოვნაში ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ ჩვენ ქართველები ვართ და ამიტომ ჩვენ სკოლებში ქართულად სწავლის ნება გვიბოძეთო. ასეთი განცხადება ნათელს ჰფენს საერთოდ აჭარლების სულიერ განწყობილებას, მათ ზრახვას, მათ დღევანდელ მისწრაფებას. ასეთი შეგნების განმტკიცებისათვის აქამომდე დუნედ მოქმედებდა ქართველი ხალხი და ქართველი ინტელიგენცია. მით უმეტეს რუსეთის მართველობის მიერ კულტურტრეგერობის გაწევა ამ მხარეს მოსწყვეტდა თავის ბუნებრივს ნიადაგს, თავის სამშობლოს, თავის ეროვნულ კერას...

რუსეთის მმართველობამ დიდი ისტორიული შეცდომა ჩაიდინა, რომ რუსული სახელმწიფოებრივობის იდეის აჭარელთა შორის განმტკიცებას ლამობდა იქ მხოლოდ რუსული კულტურის დანერგვის საშუალებით. აჭარელნი რუსულ ენას ისევე არაბუნებრივად ითვისებდნენ, როგორც ოსმალურსა თუ არაბულს. ერთის მხრით მოლა-ხოჯების ქადაგება, და, მეორე მხრით კავკასიის სამოსწავლო მთავრობის პოლიტიკა, დიდ ზღუდედ აღიმართა ქრისტიან ქართველებისა და ჩვენ მოძმე გამაჰმადიანებულ აჭარელთა შორის. ქართულ პრესაში აღნიშნულ იყო, თუ როგორ უკრძალავდნენ მოხელენი ქართველ მაჰმადიანებს მათ სკოლებში ქართული ენის სწავლების შემოღებას. ასეთი იყო, მაგალითად, ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლათა დირეკტორის უარი ჩურუკსუს მცხოვრებლთა შუამდგომლობაზე. ცნობილია ხვრეტილი — რომ ტერ-გასპარიანცს. ბათომის ოლქის სკოლის ერთ-ერთი ზედამხედველთაგანი დაითხოვა ხულოს სკოლაში არაოფიციალურად ქართული ენის სწავლების გამო. მაშინ აჭარელნი არ გაურბოდნენ ქართულს, მაგრამ იმდენი მაინც ვერ გაბედეს, რომ აშკარად ეთქვათ: ჩვენ ქართველები ვართ და ქართულის სწავლა გვესაჭიროებაო. შარშანდელ ომის დაწყებამდე ამის თქმა შესძლეს მხოლოდ ჩურუკ-სუელებმა (ქობულეთში). წლეულს შუაგულ აჭარაშიაც ითხოვენ ქართული ენის სწავლების შემოღებას და ისიც იმ დროს, როცა მთავრობის დიდი მოხელე მათთან სულ სხვა ანგარიშის გასასწორებლად არის მისული.

ხულოსელებს აშკარად, გულახდილად და მტკიცედ განუცხადებიათ: ომმა დაგვაზარალა, გთხოვთ დახმარებას, პურსა და სკოლაში ქართული ენის შემოღებასო. ეს ისტორიული ხასიათის განცხადება ლოიკური განვითარებაა იმ საგულისხმიერო სიტყვისა, რომელიც მოხუც გულო აღა კაიკაცშვილმა წარმოსთქვა აკაკის დასაფლავებაზე. ამდენ ხანს ჩვენ თითქო გვეშინოდა შუაგულ აჭარისა, სადაც არავითარი ეროვნულ-კულტურული შრომა არ გაგვიწევია. ამიერიდან-კი ქობულეთსა და ბათომს გვერდში ამოუდგება შუაგული აჭარაც, რომლის გამოფხიზლება და ეროვნული გათვითცნობიერება მხოლოდ ხელოვნურად შექმნილ დაბრკოლებათა გამო იყო შეფერხებული. სჩანს, ომისაგან მიყენებული მწარე ცრემლი და მძიმე ტანჯვა საჭირო ყოფილა იმისათვის, რომ აჭარელთ დაენახათ თავიანთი ნამდვილი მოძმე და მეგობარი. აჭარის აოხრებამ და გაპარტახებამ ჰშვა ეროვნული თვითშეგნებისათვის ფრიად დამახასიათებელი გულწრფელი აღსარება ხულოს მცხოვრებლებისა. ომის ქარიშხალმა და იქ განცდილ-ნახულმა მათ აგრძნობინა, თუ რა უღვთო და არაბუნებრივი იყო საქართველოს ამ საუკეთესო კუთხის ბუნებრივის ნიადაგიდან მოწყვეტა და გაგერანება. აჭარა იღვიძებს და ეს გამოფხიზლება წარმოშვა ჩვენმა საერთო ეროვნულმა უბედურებამ, რომელიც ბათომის ოლქში თავს დაგვატყდა.

დ. არონიშიძე.

თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება.

4 ივნისს კრება გაიხსნა ღამის 9 საათზე. წაკითკულ და დამტკიცებულ იქმნა წინა კრების ორი ოქმი. შემდეგ მ. ვ. მაჩაბლის წინადადებით, კრებამ სურვილი გამოსთქვა თავად-აზნაურობამ დახმარება აღმოუჩინოს ბათომის ოლქის ქართველ მაჰმადიანებს; ამ საქმისათვის გადასადებ ფულის რაოდენობას გადასწყვეტს დეპუტატთა საკრებულო მცოდნე პირთა დახმარემით.

წაკითხულ იქმნა საადგილმამულო კომისიის ანგარიში 1914 წლისა. როგორც განმარტებულია ანგარიშში, ომს ძალიან შეუშლია ხელი კომისიისათვის განეხორციელებია თავისი ვრცელი გეგმა მუშაობისა. მიუხედავად ამისა, კომისია მაინც განაგრძობდა მუშაობას. ანგარიშის წაკითხვის შემდეგ ასტყდა კამათი: **ა. კ. კორინთელმა** ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ კომისიაში არჩეულ ზოგიერთ წევრს ადრე დაუნებებია თავი თანამდებობისათვის. ამიტომ წევრებად ისეთები უნდა იყვნენ არჩეულნი, რომელთაც ხანგრძლივი მუშაობა შეუძლიანთო. ბ-ნს კარინთელს უკვირს, რომ კომისიას გადაუნარჩენია 23,749 მანეთი, მაშინ როდესაც იგივე კომისია სიღარიბესა სჩივის. ორატორმა ამასთანავე იკითხა, კომისია აძლევს გლეხებს რაიმე დარიგებას ადგილების დამუშავების შესახებ, თუ მხოლოდ მამულების შეძენაში ველისო? **გ. ზ. ქურდიანმა,** კომისიის თავმჯდომარემ, უპასუხა ბ-ნ კორინთელს, რომ კომისია შუამავალია გლეხკაცთა და მამულების გამყიდველთა შორის, ფულები მიტომ გადარჩა კომისიას, რომ ომიანობის გამო ყველაფერი გაძვირდა, სოფელში დიდი გაჭირვება ჩამოვარდა და გლეხებს მამულების შეძენის თავი სადღა აქვთო. **შ. ვ. მაჩაბელმა** აღნიშნა-რა სოფლის უმწეო მდგომარეობა, განაცხადა, რომ ქონებრივად თუ არა, მეზობლურის რჩევა-დარიგებით მაინც შეეძლო კომისიას დახმარებოდა სოფელს და სურვილი გამოსთქვა შემდეგში ასეთ გზას დაადგეს კომისია. ამასთანავე ორატორმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ ანგარიშში ნათლად არა სჩანს, კომისიას უკანვე უბრუნდება თუ არა დახარჯული ფულე-

ბი და თუ არ უბრუნდება, რა მიზეზის გამო. **ა. კ. კორინთელი** ვრცლად შეეხო სოფლის გაჭირვებას და ურჩია კრებას დაარსებულ იქნას აგრიკულტურული ბიურო. ერობა ჩვენ არა გვაქვსო—განაგრძო ორატორმა—და იმის მაგიერობა თავად-აზნაურობამ უნდა იკისროს, რამდენათაც ეს შესაძლებელია; საერობო თანხიდან სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებლად არას გვაძლევენ, ხოლო ჩვენი საადგილ-მამულო და სახელდახელო თანხებით ბევრს ვერას გავხდებით, ამიტომ, მრავალ შიდა გუბერნიების მიხედვით, ჩვენაც უნდა ვსთხოვოთ სამიწადმოქმედო დეპარტამენტს მოგვცეს სესხი უსარგებლოდ და ამასთანავე რომანოვების ფონდითაც უნდა ვისარგებლოთ, როგორც სხვა გუბერნიები შვრებიანო. **თავ. დ. ვაჩნაძემ** განაცხადა, რომ ომის გამო სოფელი დაცარიელდა; ვინაც წინად მოდიოდა ჩვენთან მამულის შესაძენად, ყველანი ბრძოლის ველზედ არიან; ორატორის აზრით, კომისიის მოვალეობაა ადგილების შეძენაში დაეხმაროს სოფელს, რაიცა გარკვევით არის ნაჩვენები დებულებაში, ტეხნიკური მხარე კი, ე. ი. მამულების მოვლა-დამუშავება, კომისიის საქმე არ არის, ეს სამეურნეო საზოგადოებამ უნდა იკისროს, რის შესრულებასაც იგი ეცდებაო. შეხო რა მ. ვ. მაჩაბლის მიერ გამოთქმულ სურვილს ომის შესახებ, რომ კომისიამ რითიმე უშველოს სოფელს, ორატორმა მოიწონა ეს აზრი, მაგრამ ამასთანავე აღნიშნა, რომ ვაი თუ ამ ქველმოქმედურ დახმარებამ დიდი ხარჯი მოითხოვოს და კომისიას თავისი პირდაპირი მიზნისათვის აღარა დარჩესო. **რ. ა. გაბაშვილმა** ის აზრი გამოსთქვა, რომ ფულის შენახვას ის აჯობებდა, ამ ფულებით კომისიას მცოდნე კაცები დაექირავებინა, რომლებიც სოფლის ავ-კარგს შეისწავლიდნენ ადგილობრივ და შემდეგ წამლის გამონახვა გაადვილდებოდაო. **ვ. ცაგარელმა** ვრცლად აღნიშნა კოოპერატივების მნიშვნელობა, და ურჩია კრებას ხელი შეუწყოს თბილისში ცენტრალური მომხმარებელი ამხანაგობის დაარსებას. ბ-მა **ჭარუშიძემ** აღნიშნა, რომ ადგილ-მამულის ჯარგად შემუშავება ვერას გვიშველის, თუ ჩვენი სოფლის ნაწარმოებს ჩვენვე არ მოუპოვეთ ბაზარი და ჩარჩვაჭრების ხელში დავრჩითო. ამისათვის ორატორმა წინადადება მისცა კრებას, დახმარება აღმოუჩინოს ქართლის მეხილეთა ამხანაგობას მოკლე ვადიანი სესხის მიცემით.

კრებამ დაამტკიცა საადგილმამულო კომისიის ანგარიში და დაავალა კომისიას მხედველობაში იქონიოს და შეძლების კვალობაზე განახორციელოს კრებაზე გამოთქმული სურვილები. ამასთანავე კრებამ დაადგინა მოწვეულ იქმნას თბილისში კოოპერატივთა წარმომადგენლების კრება. სოფლის სხვა და სხვა საჭირბოროტო კითხვების გამოსარკვევად.

შემდეგ კრებამ საადგილმამულო კომისიის წევრებად აირჩია: ა. კ. კორინთელი, ი. დ. ციციშვილი და რ. ა. გაბაშვილი.

კრება გადაიდო დღევანდელი დღის დილის 12 საათამდე.

იტალია და გერმანია

აგერ საცაა თვე შესრულდება რაც იტალია ომის ასპარეზზე გამოვიდა, მაგრამ მისი მახვილი მხოლოდ ავსტრიის წინააღმდეგ არის მიმართული. გერმანიასთან-კი ომი ჯერ არ დაწყობილა, რადგან საკმაო ჯარისკაცი არა ჰყავს, რომ მტრის ძლიერ ტალღას გაუძლოს. გერმანიამ იმავე თავიდან თავი შეიკავა, ავსტრიის საზღვრებზე არ გაუგზავნია ჯარები. ამნაირად, სულ ტყუილი გამოდგა დეპეშების ცნობა, ვითომც ამდენი და ამდენი ათასი, თითქმის 600 ათასი ბავარელი ავსტრიელებთან ერთად ჩადგნენ საზღვრებზე და იტალიის ტერიტორიაზე აპირებენ გულდაგულ შეჭრასო. იტალიაც თავის მხრით კადნიერებაზე ვერ სდებს თავს და პირველად თვითონ არა ჰსურს ომის გამოცხადება. მართალია, პირველ ახმაურებაზე, რომ გერმანია ავსტრიას დაუჭერს მხარს, იტალიამ ბერლინთან შესწყვიტა დიპლომატიური დამოკიდებულება, მაგრამ რამდენიმე კვირის ყოყმანის შემდეგ,რაიც არც ომად შეიძლება ჩაითვალოს და არც მშვიდობიანობად, იტალიამ მოულოდნელად გადასწყვიტა სრულიად ახალ მიმართულებას დასდგომოდა. გერმანელთა ქვეშევრდომთ მიეცა უფლება უცხო ელემენტთა თანასწორობისა და დღესაც იმავე პირობებით სცხოვრობენ მათს ტერიტორიაზე, როგორც ომის დაწყებამდე.

რომ ამ ორჭოფ მდგომარეობისთვის თავი დაეხწია, იტალია და გერმანია ხელ ახლად შესთანხმდნენ. მართალია, კომპენტენტურ წრეებში ამტკიცებენ, ეს მხოლოდ დროებით ხელშეკრულობაა, მაგრამ მაგარიც ის არის, რომ ასეთს განმარტებას არავითარი გასანაღდებელი თამასუქი არ ახლავს თანა. თუ მართლა ომის საკითხი დამოკიდებულია იმაზე, გერმანია წაიყვანს თუ არა თავის ჯარებს მის საზღვრებზეო, მაშინ დღევანდელი დამოკიდებულება ამ სახით შეიძლება ომის დასრულებამდე და აი რატომ: იმის ფიქრი, ვითომც გერმანია დასავლეთისა და აღმოსავლეთის ასპარეზიდან თავის ლაშქარს მოაკლებს ნაწილ-ნაწილს და იტალიისკენ გაისტუმრებს საბრძოლველად, ეს არც ისე ადვილი საქმეა, როგორც ადვილად ითქმების. ის უფრო ადვილი წარმოსადგენია, რომ, თვით ავსტრიელები რამდენიმე კორპუსს მოიკლებენ ტრიესტის დასაცველად, ხოლო მათს ადგილს დაიჭერენ გერმანელები. მაშასადამე, საქმე მხოლოდ უმაღლესი ჯართა ხელმძღვანელობა იქნება და მეტი არაფერი. სულ ერთია, იტალია ავსტრია-გერმანიის ხელშეკრულობის საიდუმლოებაში ვერ ჩაიხედავს, გერმანია კი თავის გენერლებს იტალიის საზღვრებზე არ გაგზავნის. ამ ნაირად, ომის გამოცხადების ინიციატივა ისევ იტალიას დარჩება ხელთ და თუ ამ ინიციატივით არ ისარგებლებს და უხეირო მშვიდობიანობას არჩევს ახდილ მტრულ დამოკიდებულებას, მაშინ, ცხადია, იტალია ასრულებს სწორედ იმ ტაქტიკას, რასაც ომის დაწყებამდე ადგა იგი სამთა კავშირთან მოლაპარაკების დროს.

რუსეთის პრესამ დიდი აღფრთოვანება გამოაცხადა გაზეთის ფურცლებზე და იტალიას ულოცავდა ომის ასპარეზზე გამოსვლას, როგორც ახალს მოკავშირეს. თუ ამ ტერმინს მივიღებთ საერთაშორისო უფლებრივ მნიშვნელობით, მაშინ დავინახავთ, რომ შესაფერისად ვერ არის ამორჩეული იგი, უხერხულია. იტალიის ელჩმა პეტროგრადის სასახლესთან ხალხის მოლოცვაზე სიტყვით მადლობა გამოუცხადა ყველას, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ **კავშირზე** კი ნუ ვილაპარაკებთ, არამედ ვილაპარაკოთ **ძმობაზეო**. ამით მას უნდოდა მიეთითებინა მიზანთა რაოდენადმე სოლიდარობაზე და არა მათს იგივეობაზე. იტალიამ მოკავშირეთა სამ მტერში მხოლოდ ერთს გამოუცხადა ომი, ხოლო გერმანიას და ოსმალეთს თავი გაანება და არც ჯარები გაუმგზავრებია გერმანიის საწინააღმდეგოდ და არც თუ დარდანელისკენ გაიჭრა მისი ფლოტი.

გერმანიასთან კავშირი რომ არ შეეწყვიტნა იტალიას, ამისი ტენდენცია სჩანდა მაშინაც კი, როდესაც იტალია-ავსტრიის მოლაპარაკებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, გაწყდა დაჭიმული სიმი და მათს დიპლომატიურ დამოკიდებულების შუა ხიდი ჩასტყდა, მაგრამ სანინოს ორგანო „Giornale d'Italia", რომელიც ომის სასარგებლოდ აგიტაციის ცეცხლს ანთებდა, სრულებით სხვა კილოზე და სხვა ჰანგით ლაპარაკობდა გერმანიის შესახებ. იგი ამტკიცებდა, რომ იტალია მეტად კარგს განწყობილებაშია გერმანიასთან, მასთან მეგობრულ კავშირისა და მშვიდობიანობის მეტი არ აინტერესებსო. ჩვენ არ გვავიწყდება გერმანიის მრავალი სიკეთე, ვმადლობთ წარსულისათვის, რაიც მან დაგვავალა იტალიის სამეფოს განვითარების საქმეში. დღესაც ამ მადლობის იქით ჩვენ სხვა ანგარიში არა გვაქვსო. ამასთანავე წინდაწინ განზრახულების წარსაშლელად იგივე გაზეთი ირწმუნებოდა, რომ ტრიესტი, როგორც საექსპორტო ნავთსადგური, საჭიროა არა მარტო ავსტრიის ვაჭრობისთვის, არამედ თვით გერმანელთა მრეწველობისთვისაო. (დენი).

გერმანიის სათადარიგო ჯარები

ნეიტრალ სახელმწიფოთა საყურადღებოდ რეიხსტაგის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ჩვენ სათადარიგოდ კიდევ $2^1/_2$ მილიონი კაცი გვყავს, რათა „ახალ მტერს" გავუმკლავდეთო. თქმა არ უნდა, ეს მუქარა იმას ნიშნავდა, ფრთხილად იყავით, თორემ თქვენთვისაც მოვიცლითო. ამ განცხადების გარშემო გერმანიის პრესა ხანგრძლივ კამათობდა. გაზ. „რეჩს" არა სჯერა ჯართა ამდენი რაოდენობა და სხვა და სხვა ოფიციალურ წყაროებით ანგარიშობს. პირველ კითხვებად მიაჩნია, თუ 1) რამდენი შეიარაღებული კაცი გამოიყვანა ომის დაწყებისას; 2) დაჭრილ-დახოცილთა, უკვალოდ დაკარგულთა და ავადმყოფთა რაოდენობა; 3) გერმანიის სათადარიგო ჯართა რაოდენობა ამ ჟამად. აი ამ კითხვების გადაჭრა შეგვაძლებინებს განვსაზღვროთ, რამდენ ხანს ეყოფა გერმანიას ხალხი ომის განსაგრძელებლად. რაკი-ღა სიმძიმის ცენტრი გერმანიისკენ არის გადახრილი, ამიტომ უმჯობესი იქნება თუ ჯერ ამ სახელმწიფოს ძალის რაოდენობას გამოვიკვლევთ.

ჯართა რაოდენობა თვით მოსახლეობის რაოდენობაზეა დამოკიდებული. ოფიციალურ ცნობებით ვიცით, რომ გერმანიის მცხოვრებთა რიცხვი უდრის 70 მილიონს. აქედან 34 მილიონი მამაკაცია.

სამხედრო კონტიგენტისათვის ვარგოდენ 18—50 წლამდე. მაშასადამე, მამაკაცთა რიცხვიდან მხოლოდ ნახევრით შეიძლება სარგებლობა, ე. ი. 17 მილიონის მომატებით. მიუხედავად ამისა, ომის დაწყებიდან ამდენი რიცხვი ვერ წამოაყენა გერმანიამ, რადგანაც მეტი წილი აფრიკისა და აზიის ახალშენებში ჰყავთ გაბნეული. აგრეთვე დიდძალი გერმანელები გადასულან ამერიკაში. ამის გარდა ოფიციალურ ანგარიშით ჯარში მხოლოდ $55^1/_2$% ვარგობს, რადგანაც 24% სხვა და სხვა მიზეზისა გამო განთავისუფლულია სამხედრო ბეგარისაგან, 14,3% ვადით არიან განთავისუფლებულნი, 6% სრულიად გამოუსადეგარნი არიან, ხოლო 0, 2% სამხედრო სამსახურისათვის უღირსად სთვლიან. თუ მივიღებთ მხედველობაში რომ, შესაძლებელია სამხედრო უწყებამ ამ გარეგობებას არ მიაქციოს ყურადღება და ნაძალადევად გაიწვია $^2/_3$ ზემოდ აღნიშნული რიცხვისა 18—50წ., მაშინ მაქსიმუმს მივიღებთ 10—11 მილიონს.

ამ რიცხვიდან უნდა ამოიშალოს ზოგიერთა კატეგორია, რომელნიც სამსახურისა გამო ვერ მივლენ ჯარში. მათი რიცხვი 3 მილიონამდინ არის. ესენი მსახურობენ სახელმწიფო დაწესებულებათა შორის, ქარხნებში, ფაბრიკებში, ემსახურებიან სამხედრო უწყებას და სხვ. მაშასადემე, ომის დაწყებისას გერმანიას შეეძლო 8 ათასი კაცის მობილიზაცია მოეხდინა. თქმა არ უნდა, მთელი ეს რიცხვი შეუძლებელი იყო იმავე თავიდან სამხედრო ჩარჩოში მოეწყო.

ცხრა თვის განმავლობაში, თუ ოფიციალურს წყაროებს დავუჯერებთ, როგორც მაგ. „D-aily Wail"-ს, ანუ კოპენჰაგენიდან ნაუწყების გერმანელთა სამწუხარო სიებს, მაშინ მივიღებთ, რომ სია იგი შეადგენს 1.171,492 დაჭრილ-დახოცილს და უკვალოდ დაკარგულს. 2) „Wew Jork-Herald"-ის ანგარიშით 1 მარტამდინ ეს რიცხვი უდრიდა 2,235,480 კაცს. 3) კოპენჰაგენიდან მოსულ პრუსიის ანგარიშით სია აი რა სახისაა: 32,542 კაც. დახოცილი, დაჭრილი და უკვალოდ დაკარგულნი უდრიან 1.196,969 კაცს. ამ რიცხვს უნდა დაემატოს 175 ბავარიელთა ფურცელი, საქსონიისა 155 ფურცელი, ვიურტემბერგისა 150 ფურ. და 25 საზღვაო. საზოგადო რიცხვით შეიარაღებულ ძალთა დაკარგვა უდრის 2.750,000 დაჭრილ-დახოცილს და უკვალოდ დაკარგულს. ამასთანავე საჭიროა, რომ ამ რიცხვიდან გამოვაკლოთ ის დაჭრილები, რომელნიც მორჩნენ და ჯარში დაბრუნდნენ. ე. ი. დაზარალებულთა რიცხვი უდრის უკანასკნელ 3 მილიონ ჯარის კაცს.

ამნაირად, საზოგადო დანაკლისი ომის დაწყებიდან დღემდე $3^1/_2$ კ. უდრის. მაშასადამე, შეიარაღებული რჩება მხოლოდ $4^1/_2$ მილიონი, რაიც განაწილებულია შედეგი სახით:

1) რამდენადაც ვიცით, დასავლეთ ასპარეზზე, აგრეთვე დაპყრობილ პუნქტების გასამაგრებლად ბელგიაში თუ სხვაგან $1^1/_2$—2 მილიონ ჯარისკაცამდეა დაბანდებული; 2) აღმოსავლეთ ასპარეზზე უკანასკნელ იერიშების გაძლიერების დროს გალიციაში, ლემანზე და ვიცაზე, რუსთა ავტორიტეტიულ წყაროებიდან $1^1/_2$ მილიონს უდრის; 3) 300,000 გერმანიის ჯარისკაცი შიგ სახელმწიფოშივეა დატოვებული საკუთარ ქვეყნისა, საგარნიზონო სამსახურისა და ტყვეების მოსავლელად; 4) 300 ათასი საეტაპო და საციხოვნო სამსასურისთვის სჭირიანო. აქედან ცხადია, რომ დღეს გერმანიას ჯართა დანაკლისის შევსება შეუძლიან მხოლოდ 1 მილიონით 18—50 წლის კაცამდე.

რამდენ ხანს ეყოფა ეს რეზერვები, რომ ომი განაგრძოს? თუ ვივარაუდებთ ცხრა თვის განმავლობის ცდას, მაშინ დავინახავთ, რომ თვიურად საშვალო რიცხვი დანაკლისისა უდრის 300—400 ათასს. რა თქმა უნდა ეს რიცხვი თვით ომის მსვლელობაზეა დამოკიდებული, თუ ზამთრობით მართლა ეს ასე იყო, ზაფსულის დანაკლისი ერთი ორად გაიზრდება.

„გერმანია უკანასკნელი ძალღონით იბრძვის", ასე ამბობს „რეჩის" თანამშრომელი ოფიცერი და ურჩევს ხალხს, გულს ნუ გავიტეხთო.

ჩვენი ცხოვრება

კაბენის მონასტერი

...ჰე, ცრუ სოფელო,
დაუნდობელო,
ზენში კეთილი სად არს
ფერ-უცვლელ?..
გრ. ორბელიანი.

კვირას, 24 მაისს, გავემგზავრეთ კაბენის მონასტერში, რომელიც 10—12 ვერსის მანძილზეა თბილისიდან.

იგი მდებარეობს კაჭრსა და კიკეთს შორის, ქორ-ოღლის ციხის ძირში. ამ მონასტრის შესახებ ბატონიშვილი ვახუშტი, სხვათა შორის, მოგვითხრობს ...„კიკეთს ქვევით, ხევსა შინა, არს მონასტერი კაბენისა. ყოფილ არს დედათა, **გუნბათიანი, შვენიერი** აწ არს ხუცის სამარ, აღაშენა მეფემან თამარ"... (ხაზი ჩემია).

ეს მონასტერი მშვენიერ, თვალ-წარმტაც ადგილას მდებარეობს: გარშემო ტყიანი მთებითაა შემოზღუდული და გვერდზე ჩამოურბის პატარა, კეკლუცი მდინარე-ხევი ასურეთისა. ადგილ-მდებარეობით კაბენის მონასტერი ძალიან წაგავს ბეთანიის მონასტერს. სამაგიეროდ გულ ასამღვრელ სურათს იხილავთ: ვახუშტი რომ იხსენიებს „გუნბათიან, შვენიერს" მონასტერს, სადღაა იგი? მხოლოდ ნანგრევებს, შიშველა კედლებს და საფლავის ქვებს-ღა წააწყდებით. დროთა ბრუნვისაგან და ჩვენი უყურადღებობით მიტოვებულ და გავერანებულ ამ ისტორიულ ნაშთებში კიდევ ბლომად შენახულა ძვირფასი და იშვიათი ჩუქურთმები.

ამ 12 წლის წინეთ უპატრონოდ შთენილ აქაურობას დაჰპატრონებიან რუსი ბერები, რომელთაც მიუნგრ-მოუნგრევიათ რაც კი ძველი რამ ყოფილა და აღუშენებიათ თავიანთ გემოვნებაზე ახალი ეკლესია—შენობებით და შემოუვლიათ გალავანი.

ჩვენი ისტორიული ნაშთი ტაძრისა კი, რასაკვირველია, გალავნის გარეშე მოჰყოლია და აკი ამიტომაც მთლად განადგურებულია ისევ ჩვენივე დაუდევრობით..

ერმალოზ კახი.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

თბილისიდან გადის:

თბილისიდან . . .	8 ს. 13 წ.	დილ.
ნავთლუღ-ამიერ-კავ. .	8 „ 40 „	„
ნავთლუღ-კახეთ . .	8 „ 58 „	„
ვაზიანიდან . . .	10 „ 06 „	„
ივრიდან	21 „ 15 „	„
საგარეჯოდან . . .	11 „ 58 „	„
ბადიაურიდან . . .	12 „ 56 „	„
მელაანიდან . . .	2 ს. 16 წ.	საღ.
გურჯაანიდან . . .	3 „ 37 „	„
კარდენახიდან . . .	4 „ 12 „	„
წნორის-წყალზე . .	4 „ 44 „	„

გურჯაანიდან-თელავამდე № 7.

გურჯაანიდან . . .	3 ს. 42 წ.	საღ.
ვაჩნაძიანიდან . . .	4 „ 33 „	„
თელავში	5 „ 27 „	„

თბილისისკენ მოდის:

წნორის-წყლიდან . .	8 ს. 58 წ.	დილ.
კარდანახიდან . . .	9 „ 41 „	„
გურჯაანიდან . . .	10 „ 24 „	„
მელაანიდან . . .	11 „ 39 „	„
ბადიაურიდან . . .	12 „ 59 „	დღ.
საგარეჯოდან . . .	2 „ 80 „	„
ივრიდან	2 „ 50 „	„
ვაზიანიდან . . .	3 „ 55 „	„
ნავთლუღ-კახეთ. . .	4 „ 58 „	„
ნავთლუღ-ამიერ-კავ .	5 „ 13 „	„
თბილისში, ...	5 „ 28 „	„

თელავიდან-გურჯაანამდე № 8.

თელავიდან . . .	8 ს. 54 წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან . . .	9 „ 25 „	„
გურჯაანში . . .	10 „ 07 „	„

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3 ბაქოდან . . .	12 ს. 54 წ.	დღ.
№ 4 ბათომიდან . .	5 ს. 55 წ.	საღ.
№ 5 ბაქოდან (სწრაფი)	7 ს. 41 წ.	საღ.
№ 10 ბათომიდან. .	9 ს. 51 წ.	დილ.
ჯულფიდან. .	6 ს. 53 წ.	დილ.
ბორჯომიდან .	7 ს. 25 წ	დილ

თბილისიდან გადის:

№ 3 ბათომისკენ . .	1 ს. 45 წ.	დღ.
№ 4 ბაქოსკენ . .	7 ს. 3 წ.	საღ.
№ 6 ბაქოს (სწრაფი)	12 ს. 8 წ.	დღ.
№ 9 ბათომისკენ . .	8 ს 53 წ.	საღ.
ჯულფისკენ .	10 ს. 23 წ.	საღ.
ბორჯომისკენ	3 ს. 29 წ	დღ.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა.

25—11

წიგნის მაღაზია

„ახალი სიტყვა"

(„НОВАЯ РѢЧЬ".)

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ.

განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში. (წ.—9)

მეხილეთა ამხანაგობა

„ქართლი"

„ქართლის" კოოპერატიულ მაღაზიაში (ძველი სემინარიის შენობა) ყოველდღე ჩამოდის ახალი ხილი ამხანაგობის წევრებისაგან. მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ ყოველნაირი ხილი იაფად. წ.

თევზის მრეწველნი

ძმ. მეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.

განუოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით", სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი **„მეშოჩნი"** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ტსწრაფ-მბეჭდავი სტამბა სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან